

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 1.	ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება				
ამოცანა 1.1.	საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები)				
1.1.1. საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით	წარმოებული ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები (UVI) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით	საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების ინდექსები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		დასრულდა 2022 წლის კვარტალური მონაცემების დამუშავება, დეტალური მონაცემები გამოქვეყნდა 2023 წლის 31 ივლისს. მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე შემდეგ ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/713/sagareo-vachrobis-erteulis-ghirebulebis-indeksebi
ამოცანა 1.2.	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება				
1.2.1. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები მომსახურების სახეების და ქვეყნების მიხედვით	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის გამოკვლევის შედეგები 2022 წლიდან გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	2022 წლის მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემები დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდა 2023 წლის 31 ოქტომბერს. მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე შემდეგ ბმულზე: https://www.geostat.ge/ge/modules/categories/766/international-trade-in-services
მიზანი 2.	ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა				
ამოცანა 2.1.	ევროკავშირის ტერიტორიაზე საქსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია				
2.1.1. ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების	ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2023 წლის განმავლობაში სააგენტოს დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა იტალიაში, გერმანიაში, პორტუგალიასა და საფრანგეთში გამართულ 10 საერთაშორისო გამოფენასა და ორ მოდის კვირეულის თანმდევ შოურუმში. ჯამურად მოცემულ ღონისძიებებზე სააგენტოს მხრიდან განხორცილდა 114 თანადაფინანსების ფაქტი.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მონაწილეობის ხელშეწყობა	კომპანიების რაოდენობა. ევროკავშირის ქვეყნებში გამართული გამოფენებისა და სავაჭრო მისიების რაოდენობა				
ამოცანა 2.2.	მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება				
2.2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებით პროგრამის ფარგლებში	თანდაფინანსებული საწარმოების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2023 წელს, უნივერსალური პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 560 კომპანიის 655 სესხის/ლიზინგის თანადაფინანსება, რომელთა ჯამური დამტკიცებული მოცულობა 519.6 მილიონი ლარია. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია 898.1 მილიონი ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელება და 5,700 -ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.
ამოცანა 2.3.	მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით				
2.3.1. მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება	სერტიფიცირებულ ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში	შერჩეული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება	2023 წელს ჩატარდა 3 ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი. კურსები ჩატარდა თბილისში, ზუგდიდსა და თელავში, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 60 ექსპორტის მენეჯერი.
2.3.2. Trade with Georgia პლატფორმის პოპულარიზაცია და გამოყენების ზრდა	პლატფორმაზე დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2023 წელს პლატფორმაზე დარეგისტრირდა 100-მდე კომპანია.
2.3.3. ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელება	მხარდაჭერილი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2023 წლის მეოთხე კვარტალში განახლებული პირობებით გამოცხადდა ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამა.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 3.	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან				
ამოცანა 3.1.	კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართის შესაბამისად				
3.1.1. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU და ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/746/EU რეგულაციების მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი; matsne.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ევროკავშირის ტექნიკური დანართებით დაკონტრაქტებულია საერთაშორისო ექსპერტი და ადგილობრივი ექსპერტი. საერთაშორისო ექსპერტის მიერ, სამინისტროს აქტიური ჩართულობით, მომზადდა არსებული მარეგულირებელი ბაზის და სამედიცინო მოწყობილობების ბაზრის ანალიზი. სექტემბრის ბოლოს დასრულდა მარეგულირებელი კანონის პირველი სამუშაო ვერსიის მომზადება ინგლისურ ენაზე, მიმდინარეობს მისი დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების პროცედურები.
3.1.2. ტექნიკური რეგლამენტის/ების მომზადება დირექტივებთან MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების მიზნით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტები;	matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	არა-ავტომატური აწონის საშუალებების (NAWI) რეგლამენტის პროექტი შესათანხმებლად გაიგზავნა 2023 წლის ოქტომბრის თვეში. მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით მიმდინარეობს ტერმინების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც დასრულდება 2024 წლის პირველ კვარტალში. ტექნიკური რეგლამენტის პროექტი გაზომვის საშუალებების (MID) დირექტივასთან დაახლოებისათვის მომზადებულია, რეგლამენტის პროექტი შემდგომი პროცედურებისათვის გადაიგზავნება 2024 წლის პირველ კვარტალში. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ აღნიშნული დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.1.3. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება რადიო მოწყობილობების ბაზარზე განთავსების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის და 1999/5/EC დირექტივის გაუქმების თაობაზე 2014 წლის 16 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/53/EU დირექტივის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	2023 წლის 24 აპრილს, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის N161 დადგენილება „რადიომოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ სრულად მიღებული და გამოქვეყნებულია სტანდარტების სია (ჰარმონიზებული სტანდარტები) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებისათვის (sst.geostm.gov.ge).
3.1.4. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/30/EU დირექტივის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ დამტკიცების თაობაზე“. მიმდინარეობს შესაბამის უწყებებთან კონსულტაციები, რის შემდეგაც დასამტკიცებლად იქნება წარდგენილი საქართველოს მთავრობისთვის. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული და გამოქვეყნებულია სტანდარტების სია (ჰარმონიზებული სტანდარტები) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებისათვის (sst.geostm.gov.ge).
3.1.5. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოყენებისათვის განკუთვნილი ელექტრო მოწყობილობების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი; matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის N165 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრომოწყობილობების შესახებ“. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული და გამოქვეყნებულია სტანდარტების სია (ჰარმონიზებული სტანდარტები) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებისათვის (sst.geostm.gov.ge).

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/35/EU დირექტივის მიხედვით</p>					
<p>3.1.6. სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დაახლოება 2011 წლის 9 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 305/2011 რეგულაციასთან, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქციის ჰარმონიზებულ პირობებს ბაზარზე განთავსებისათვის</p>	<p>ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი ცვლილება</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ცვლილება;</p> <p>matsne.gov.ge</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო</p>	<p>საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის N156 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“ და მოხდა 17 ახალი სამშენებლო პროდუქტის დაფარვა.</p> <p>საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ სრულად მიღებული და გამოქვეყნებულია სტანდარტების სია (ჰარმონიზებული სტანდარტები) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებისათვის (sst.geostm.gov.ge).</p>
<p>3.1.7. საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, მათ შორის DCFTA შეთანხმების III-A დანართში მითითებული სექტორულ დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტების, საქართველოს სტანდარტებად მიღება</p>	<p>საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული და/ან საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა</p>	<p>სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულებები სტანდარტების მიღების თაობაზე</p>	<p>სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>		<p>2023 წლის მდგომარეობით სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 4,261 სტანდარტი, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 45 - სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 4 216; <p>მიმდინარეობს მონაცემთან ბაზის განახლებისა და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის სამუშაოები.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 3.2.	ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება				
3.2.1. პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი (გაზომვის 1 მიმართულებით ეტალონური ლაბორატორიებისათვის ხელსაწყოების შეძენა)	გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატების რაოდენობა სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2023 წ. პირველი კვარტალის განმავლობაში მომზადდა შესაძენი აღჭურვილობის სიები ტვინინგ პროექტის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით. წლის განმავლობაში შეძენილ იქნა ფიზიკური გაზომვების ლაბორატორიისთვის სტანდარტული ნიმუშები. მეტროლოგიის ინსტიტუტის ყველა ლაბორატორია აღიჭურვა გარემო პირობების (ტემპერატურა, ტენიანობა, წნევა) მონიტორინგის ხელსაწყოებით. ტემპერატურისა და ტენიანობის ლაბორატორიისათვის სენსორები ტენიანობის მზომი ხელსაწყოებისათვის, შუქ-ფილტრები რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისათვის. მომზადდა ტექნიკური სპეციფიკაციები და შესყიდულია ეტალონური პლატინის წინაღობის თერმომეტრი (მოწოდება განხორციელდება 2024 წლის პირველ ნახევარში) რომლითაც სააგენტო გეგმავს საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობას EURAMET-ის ფარგლებში ტემპერატურული გაზომვების სფეროში. რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა იონიზაციის კამერა.
3.2.2. მეტროლოგიის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	სააგენტოს აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობა	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა www.bipm.org	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების (CMC) ჩანაწერების რაოდენობა შენარჩუნებულია და შეადგენს 65 ჩანაწერს. საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების, ასევე გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში მომზადდა ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროგრამები 2023 წლისათვის. გაანალიზდა და შეირჩა სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობების - ჩენეთი (CMI), თურქეთი (UME), პოლონეთი (GUM), იტალია (InRIM), ესპანეთი (CEM). 2023 წლის მდგომარეობით დასრულდა ეტალონური ტვირთდგუმიანი მანომეტრის დაკალიბრების სამუშაოები ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში (CEM) ტვინინგ

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პროექტის ფარგლებში, დაკალიბრდა ეტალონები და გამოზომი საშუალებები ჩეხეთის (CMI), თურქეთის (UME), პოლონეთის (GUM) მეტოლოგიის ინსტიტუტებში. მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით ტვინინგ პროექტის ფარგლებში იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში InRIM გაგზავნილია ეტალონები დასაკალიბრებლად.</p> <p>დაიგეგმა EURAMET-ის რეგიონალურ საკვანძო შედარებებში მონაწილეობა ტემპერატურული გაზომვების სფეროში, ასევე ორმხრივი შედარება ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტთან ფიზ-ქიმიური გაზომვების სფეროში.</p>
<p>3.2.3. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 შესაბამისად</p>	<p>სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილია ISO 9001:2015</p>	<p>სააგენტოს ISO 9001:2015 სერტიფიცირებისათვის ევროპელი ექსპერტების წინასწარი შეფასების ანგარიში</p>	<p>სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>		<p>Twinning პროექტის ექსპერტებთან შეჯერდა აუცილებელი პროცედურების სია და ხარისხის სახელმძღვანელოს საბოლოო პროექტი. დასრულდა შესაბამისი პროცედურების შემუშავების სამუშაოები. მინდინარეობს ხარისხის სახელმძღვანელოს, არსებული დოკუმენტების ინგლისური ვერსიების მომზადებისა და იმპლემენტაციის სამუშაოები. ამასთან, განხორციელდა სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის ისო 9001:2015 შესაბამისად სერტიფიცირებისათვის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე სერტიფიკაციის ორგანო შერჩევა.</p> <p>პროცედურების იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის პროექტის ფარგლებში:</p> <p>3-5 მაისს ჩატარდა “CEPAS” აკრედიტაციის მქონე პროგრამის პირველი ტრენინგი “QMS Auditor-Lead Auditor Training Course, CEPAS-qualified - Module 1” სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის;</p> <p>25-29 სექტემბერს, 2023 სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა “CEPAS” აკრედიტაციის მქონე პროგრამის ტრენინგის მეორე ეტაპი „ხარისხის მენეჯმენტის სისტემების წამყვანი აუდიტორები“, მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.</p>
<p>3.2.4. მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების - ISO 17034:2016 შესაბამისად სერვისების</p>	<p>მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის</p>	<p>სააგენტოს წლიური ანგარიში</p>	<p>სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>		<p>შესრულების ვადებმა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში ISO 17034:2016 სტანდარტის დანერგვისათვის გადაიწია და შესრულდება 2014 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შეთავაზებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების გაგრძელება	დანერგვისათვის საჭირო დოკუმენტები და პროცედურები				
3.2.5. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ევროპის მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციაში EURAMET სრული წევრობის სტატუსის მისაღებად აქტივობების დაწყება	სააგენტოს განუვრიანებელია EURAMET-ში; სააგენტოს შერჩეულ პრიორიტეტული ლაბორატორიებს გავლილი აქვს ე.წ. peer review EURAMET-ის ექსპერტების მხრიდან	ინფორმაცია EURAMET-ის ვებ გვერდზე	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		<p>EURAMET-ის ექსპერტების (იტალიის და ესპანეთის მეტროლოგიური უწყებების წარმომადგენლები) მიერ 2023 წლის 24-27 ივლისს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებაში (ელექტრობის, ტემპერატურისა და ტენიანობის, მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები, ასევე ხარისის მენეჯმენტის ნაწილში) ჩატარდა შეფასება (Peer-review) ISO/IEC 17025:2017-სტანდარტის შესაბამისად. შეფასებამ ჩაიარა წარმატებით, რის საფუძველზეც დაიგეგმა GEOSTM-ის ხარისის სიტემის პირველადი პრეზენტაცია, რომელიც წარმატებით იქნა წარდგენილი EURAMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე 2023 წლის 7 ნოემბერს, რაც EURAMET-ის სრული წევრობის ერთ-ერთი წინაპირობაა.</p> <p>სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებაების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობას ღებულობენ EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტების საქმიანობაში:</p> <p>28-30 მარტი - EURAMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრა (ონ-ლაინ მონაწილეობა);</p> <p>19-21 აპრილი - ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET-ის ტექნიკურ კომიტეტში „თერმომეტრია“, სლოვაკეთი, ქ. ბრატისლავა;</p> <p>23-26 მაისი ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET-ის ტექნიკურ კომიტეტში „ელექტრობა და მაგნეტიზმი“, ჩეხეთი, ქ. ბრნო;</p> <p>30.05-01.06 სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ევროპული რეგიონალური ორგანიზაციის EURAMET-ის გენერალურ ასამბლეაში, რომელი გაიმართა ტალინში, ესტონეთი.</p> <p>19-21 სექტემბერს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის ევროპული რეგიონალური ორგანიზაცია EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტში „მასა და მასასთან</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					დაკავშირებული სიდიდეები“ და „წნევის“ ქვეკომიტეტში, გაიმართა ბრიუსელში (ბელგია). 24-25 ოქტომბერს სააგენტოს მეტროლოგიის წაქმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET-ის TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“-ის საკონტაქტო პირების შეხვედრაში, (გაიმართა ონლაინ რეჟიმში).
3.2.6. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს არსებული სტატუსის გაუმჯობესება/ამაღლება სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში CEN/CENELEC და შესაბამისი აქტივობების განხორციელება	GEOSTM-ს მიღებული აქვს აფილირებული წევრის სტატუსი CEN/CENELEC-ში	ინფორმაცია CEN/CENELEC ვებ-გვერდზე	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2023 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიენიჭა სტანდარტების ევროპული ორგანიზაციების (CEN/CENELEC) აფილირებული წევრის სტატუსი. დაწყებულია სამუშაოების სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში შემდგომი ინტეგრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნებისა და არსებული მგომარეობის შეფასებისათვის. Twinning პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს წევრობის სტატუსის შემდგომ ამაღლებასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან გაცნობა. 3-5 აპრილს პროექტის ფარგლებში ჩატარდა საექსპერტო მისია ევროპული რეგულაციის EU 1025/2012 მოთხოვნების შესაბამისად შიდა პროცედურების შემუშავების მიზნით; 25-26 მაისს ქართულმა მხარემ პირველად მიიღო მონაწილეობა სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN/TC 250) შეხვედრასა და 24 მაისს ევროკოდეზზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში. ევროკოდეზზე და მის ეროვნულ დანართებზე მომუშავე სტანდარტიზაციის ეროვნული კომიტეტის (ტკ 5) სამუშაო ჯგუფის „ევროკოდეზი“ მხარდაჭერისათვის ევროკომისიის „Joint Research Centre“-ის წარმომადგენლებთან განხორციელდა სამუშაო შეხვედრები. მიმდინარეობს სურსათის სფეროში სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN/TC 275) საქმიანობაში ადგილობრივი ექსპერტების ჩართვის სამუშაოები.
3.2.7. აკრედიტაციის ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება და აკრედიტაციის	შემუშავებულია მინიმუმ ერთი ახალი აკრედიტაციის სქემა.	შემუშავებული სქემა/სქემები, როგორც ნებაყოფლობით	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგიი	აკრედიტაციის სქემების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: Twinning პროექტის ფარგლებში, მოწვეულმა ექსპერტმა ჩაატარა ტრენინგი ნოტიფიკაციის ორგანოების

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
სქემების შემუშავება/დანერგვა აკრედიტაციის განსახორციელებლად შესაბამისობის შეფასების სხვადასხვა სფეროებში		<p>ისე რეგულირებად სფეროებში;</p> <p>www.gac.gov.ge</p>	- აკრედიტაციის ცენტრი	ს ეროვნული სააგენტო	<p>აკრედიტაციის სფეროების ჩამოყალიბების/ განსაზღვრის შესახებ.</p> <p>აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ გერმანიის აკრედიტაციის ორგანოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის ორგანოს შეფასების პროცესში ისო/იეკ17021 სტანდარტის შესაბამისად.</p> <p>PTB-ის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ისო 14065:2020 სტანდარტის შესაბამისად სათბური გაზების ვალიდაციის და ვერიფიკაციის პროცესის შესახებ.</p> <p>მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკაციის პროცესში აკრედიტაციის ცენტრს გააჩნია შესაძლებლობა რომ დაიწყოს აკრედიტაციის პროცედურები, შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში.</p> <p>PTB-ის მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დამტკიცდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ორგანული და ბიო პროდუქტების სერტიფიკაციის პროცესის და შესაბამისი მიმართულებით აკრედიტაციის ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას.</p>
3.2.8. EA-ს აღიარების შენარჩუნება/გაფართოება	<p>EA-ს აღიარების შენარჩუნება მინიმუმ 6 სფეროში, რომლებზეც აღიარება მიღებულ იქნა 2019 წელს;</p> <p>EA-ს აღიარების გაფართოება მინიმუმ ერთ სფეროში</p>	<p>EA-ს და აკრედიტაციის ცენტრის მიერ ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმება აღიარებული სფეროების მითითებით.</p> <p>აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდი და EA-ს ვებ-გვერდი.</p>	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგია ს ეროვნული სააგენტო	<p>თანასწორთა შეფასების საბოლოო შედეგი გამოქვეყნდა 2023 წლის 24 ივლისს, რომლის თანახმად აკრედიტაციის ცენტრმა აღიარება შეინარჩუნა წინა წლებში აღიარებულ ყველა სფეროში:</p> <ul style="list-style-type: none"> - საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სატანდარტის ისო/იეკ17025-ის შესაბამისად); - საკალიბრო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სატანდარტის ისო/იეკ17025-ის შესაბამისად); - სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სატანდარტის ისო 15189 -ის შესაბამისად); - ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17020 სტანდარტის შესაბამისად); - პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17065 სტანდარტის შესაბამისად);

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>– პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17024 სტანდარტის შესაბამისად).</p> <p>ამასთან, საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა მოიპოვა დამატებითი აღიარება:</p> <p>– პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანოების აკრედიტაციის მიმართულებით (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად).</p>
3.2.9. აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის დიჯიტალიზაცია	ელექტრონული წარმოების საშუალებით შესრულებული აკრედიტაციის სამუშაოების რაოდენობა	ფუნქციონირებადი ელექტრონული სისტემა	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგია ს ეროვნული სააგენტო	დიჯიტალიზაციის პროგრამა სატესტო რეჟიმიდან გადატანილ იქნა რეალურ რეჟიმში. მიმდინარეობს შემფასებლების, ექსპერტების და შპო-ს წარმომადგენლების ადაპტაცია პროგრამასთან. ტექნიკური სირთულეების გამოვლენისა და გაუმჯობესების შემდეგ, დაგეგმილია აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის სრულად გაციფრულება.
3.2.10. IAF/ILAC ში GAC ის სრული წევრობის ვალდებულებების შესრულება, აღიარების შენარჩუნება 6 სფეროში და ILAC-ის აღიარების გაფართოება, EA-ს თანასწორთა შეფასების შედეგების შესაბამისად.	IAF/ILAC ში სრული წევრობის აღიარების შენარჩუნება და ILAC-ის აღიარების გაფართოება ისო/იეკ17043 სტანდარტის მიმართულებით	www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგია ს ეროვნული სააგენტო	<p>EA-ს მიერ განხორციელებული თანასწორთა შეფასების დადებითი შედეგების საფუძველზე, საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა მიმდინარე წლის 1 აგვისტოს გაიფართოვა ILAC-ის აღიარება პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანოების აკრედიტაციის მიმართულებით.</p> <p>EA-ს მიერ ჩატარებული შეფასების დადებითი შედეგების საფუძველზე, რომელიც განხორციელდა ILAC-ის მიერ, EA-საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა გააფართოვა ILAC-ის აღიარება ცოდნის ტესტირების პროვაიდერების სფეროში (ISO/IEC 17043 სტანდარტის მიხედვით).</p>
3.2.11. ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესის გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი	მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილება	საქართველოს მთავრობის დადგენილების ცვლილება; matsne.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		მიმდინარეობს ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესის გადახედვა და შესაბამისი ცვლილების პროექტზე მუშაობა.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ცვლილების პროექტის მომზადება					
ამოცანა 3.3.	დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის				
3.3.1 დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	<p>ჩატარებული შეხვედრების/სემინარების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა</p>	<p>სემინარების/ შეხვედრების დამსწრეთა სია; სააგენტოს წლიური ანგარიში; სააგენტოს ვებგვერდი: www.geostm.ge</p>	<p>სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2023 წლის 20-22 თებერვალს, გერმანიის PTB-ისთან თანამშრომლობის პროექტის “CALIDENA” ფარგლებში ჩატარდა სემინარი დაინტერესებული პირებისათვის (მწარმოებლები, იმპორტიორები, ლაბორატორიები) „სენდვიჩ-პანელების ღირებულებათა ჯაჭვში ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება“;</p> <p>2023 წლის განმავლობაში სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა სამშენებლო ლაქ-საღებავების მწარმოებლებთან და იმპორტიორებთან (ჯამში 35 პირი) მათთვის ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების გაცნობის მიზნით. სამი საინფორმაციო შეხვედრა 17 ახალი სამშენებლო პროექტის შესახებ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან (ჯამში 55 პირი) და 1 საინფორმაციო შეხვედრა სათამაშოების შესახებ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან (ჯამში 10 პირი);</p> <p>25 ოქტომბერს გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) მიერ რეგიონალური პროექტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ სემინარი „გაციფრულება აკრედიტაციისა და მეტროლოგიის მიმართულებით“ მონაწილეობასღებულობდნენ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლები, პრეზენტაცია წარადგინა მეტროლოგიის ინსტიტუტის ტემპერატურის და ტენიანობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა;</p> <p>31 იანვარს და პირველ თებერვალს, გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს (DAkkS) წარმომადგენელმა და Twinning პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა, ჩატარა ტრენინგი ისო/იეკ 27001 და ისო/იეკ 27006 სტანდარტების შესახებ და ისაუბრა კიბერ უსაფრთხოების ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ღონისძიებას</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ესწრებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს, ციფრული მმართველობის სააგენტოს და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლები, ჯამში 15 ადამიანი;</p> <p>2023 წლის 15 მარტს, გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტის „საქართველოს აკრედიტაციის სისტემის გაძლიერება ევროკავშირის ტექნიკურ რეგულაციებთან მიმართებაში“ დახურვის ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში მოწვეულ სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის ფარგლებში განხორციელებული მიღწევების შესახებ. აღნიშნული პროექტი დაიწყო 2019 წელს და პროექტის ფარგლებში ჯამში განხორციელდა 98 ღონისძიება, 13 სასწავლო ვიზიტი. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო 35 ექპერტი. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა სამინისტროს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვა დაძმობილების პროექტებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები, სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, ბიზნეს ასოციაციები, ანალიტიკური ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ კვლევებს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;</p> <p>30 მარტს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) გადაწყვეტილების შესაბამისად, შეირჩა ევროპული კომიტეტის (CEN/TC 250) „სტრუქტურული ევროკოდები“ საკისებრი კომიტეტის წევრები. ასევე განისაზღვრა აღნიშნული კომიტეტის შესაბამისი სამუშაო ჯგუფები: CEN/TC 250/SC 10; CEN/TC 250/SC 4; CEN/TC 250/SC 5 და CEN/TC 250/SC 7, რომელშიც სააგენტოს მიერ წარდგენილი ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას;</p> <p>გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) რეგიონალური პროექტის მხარდაჭერით 29 აპრილს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM), საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (MSA) წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პანელურ დისკუსიაში, რომელიც ჩატარდა 28-30 აპრილის უძრავი ქონების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში. ,</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>რომელიც გაიმართა ექსპოჯორჯიასა და საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის (GNARE) თანაორგანიზებით;</p> <p>25 მაისს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ტვინინს პროექტის ფარგლებში გაიმართა „ღია კარის დღე“. ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის ადგილზე გაცნობოდნენ სააგენტოს სერვისებს, მიეღოთ დეტალური თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია ეროვნული სააგენტოს ექსპერტებისგან სხვადასხვა სფეროში: სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის: ელექტრობის, თერმომეტრიის, მასის, წნევის, რადიაციის, აკუსტიკის, გომეტრიული გაზომვების, მექანიკისა და ფიზ-ქიმიის. ღონისძიებას დაესწრო 70-მდე მოწვეული სტუმარი;</p> <p>18 სექტემბერს გაიმართა განახლებული შემადგენლობის საბჭოს პირველი შეხვედრა. სხდომაზე საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების და აქტივობების, ცენტრის სამომავლო მიზნების შესახებ. შეირჩა საბჭოს დროებითი ხელმძღვანელი და საბჭოს მდივანი. ჯამში შეხვედრას ესწრებოდა 35 ადამიანი;</p> <p>21 სექტემბერი, 2023 საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ტვინინს პროექტის ფარგლებში სათამაშოების სექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „სათამაშოების სტანდარტები: სათამაშოების წინასწარი შემოწმებები, ანალიტიკური მეთოდების (ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური) თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“;</p> <p>2023 წლის განმავლობაში სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა სამშენებლო ლაქ-სადებავების მწარმოებლებთან და იმპორტიორებთან (ჯამში 35 პირი) მათთვის ლაქ-სადებავებში ტყვიის შემცველობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების გაცნობის მიზნით. ასევე, ჩატარდა სამი საინფორმაციო შეხვედრა 17</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ახალი სამშენებლო პროექტის შესახებ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან (ჯამში 55 პირი).
3.3.2. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის ტრენინგების ორგანიზება მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების სფეროში.	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა და დამსწრე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	7-9 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი წნევის ქვეშ მომუშავე მარტივი ჭურჭლის დირექტივასთან 2014/29/EU დაკავშირებით. 22-23 თებერვალს ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა სამშენებლო მასალების და პროდუქტების დირექტივასთან დაკავშირებით. 28 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი მეტროლოგიური მიკვლევადობის და განუსაზღვრელობის განსაზღვრის შესახებ ILAC P10 და ILAC P14 მოთხოვნების შესაბამისად. 29 თებერვალს და პირველ მარტს ჩატარდა ტრენინგები ისო/იეკ 17043 და ისო/იეკ 17034 სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით. 6-7 მარტს ჩატარდა ტრენინგი სამშენებლო სფეროს ნოტიფიცირების ორგანოებისთვის აკრედიტაციის სფეროს განსაზღვრის შესახებ 305/2011/EU რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად.
3.3.3. აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების შესახებ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა და ტრენინგებზე დამსწრე აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო წარმომადგენლების რაოდენობა.	უწყების წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ასოცირების შეთანხმების გაძლიერების პროექტის II ფაზასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის 22-24 სექტემბერს, ჩატარდა სემინარი: „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ცნობიერების ამაღლება საქართველოსა და ევროპის აკრედიტაციის სისტემების შესახებ“. სემინარს ესწრებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული პროკურორები და საფინანსო საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები. სემინარში ასევე მონაწილეობა მიიღეს ნორვეგიის აკრედიტაციის ორგანოს გენერალურმა დირექტორმა და EA-ს ვიცე პრეზიდენტმა და ნიდერლანდების აკრედიტაციის ორგანოს გენერალურმა დირექტორმა. სემინარს ჯამში დაესწრო 20 ადამიანი.
ამოცანა 3.4	შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება				
3.4.1. სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს	სააგენტოს წლიური ანგარიში; სააგენტოს ვებგვერდი: www.geostm.ge	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული		2023 წლის 9 თვის განმავლობაში ტვინინგ პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სემინარები/ტრენინგები სტანდარტებისა და მეტროლოგიის სფეროებში: <i>მეტროლოგია:</i>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p>თანამშრომლებისათვის</p> <p>ჩატარებული სემინარების/ტრენინგების რაოდენობა</p>		<p>სააგენტო</p>		<p>8 თებერვალი - ტრენინგი ევროპულ დირექტივაზე 80/181/EEC, გაზომვის ერთეულებთან დაკავშირებით.</p> <p>14-17 თებერვალი და 6-8 ივნისი - იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (InRIM) ხარისხის მენეჯერის მიერ ჩატარდა მოსამზადებელი წინასწარი შეფასება/აუდიტი სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის სისტემის და ტექნიკურ ნაწილში ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების.</p> <p>29 მარტი - ტრენინგი EURAMET-ის წესები და პროცედურები, მოთხოვნები შეფასების პროცესის (peer evaluation) ორგანიზაციისა და შემფასებლების მიმართ.</p> <p>20-25 თებერვალი - მეტროლოგიის ინსტიტუტის წევრის ლაბორატორიის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (InRIM) შესაბამის ლაბორატორიაში.</p> <p>23-25 მაისი - იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტის მიერ ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი აკუსტიკური გაზომვების ლაბორატორიაში ISO 61672-3-ის და ISO 61672-1-ის მიხედვით ხმაურმზომის დაკალიბრებასთან დაკავშირებით.</p> <p>05-09 ივნისი - ტრენინგი QMS დოკუმენტაციის მომზადება სტანდარტული ნიმუშების წარმოებისათვის EN ISO 17034:2016 მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>18-20 ივლისი - იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტის მიერ ჩატარდა სწავლება წევრის სფეროში.</p> <p>11-15 სექტემბერი - გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში ჩატარდა ლაბორატორიის საქმიანობის წინასწარი აუდიტი საერთაშორისო ექსპერტის მიერ - INRIM (იტალია),</p> <p>23-27 ოქტომბერი - მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეებისა და ფიზ-ქიმიური ეტალონური განყოფილების თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ.მადრიდში ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში (CEM). <i>სტანდარტიზაცია:</i></p> <p>20-24 თებერვალი - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პროცედურების შემუშავება ISO 9001:2015-ის შესაბამისად;</p> <p>28 თებერვალი - 2 მარტი - სტანდარტების თარგმნის, მიღების და ეროვნული სარკისებრი კომიტეტის (NMC) მართვის პროცედურები;</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>27-31 მარტი - ხარისხის მენეჯმენტის სიტემა და სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნები;</p> <p>12-18 მარტი - სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის სტანდარტების ეროვნულ (UNI) ორგანოში, ვიზიტის ფარგლებში სააგენტოსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;</p> <p>24 მაისი - სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკოდეზუ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში ონ-ლაინ, ხოლო 25 და 26 მაისს, ქართულმა მხარემ პირველად მიიღო მონაწილეობა სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN/TC 250) შეხვედრაში.</p> <p>21-22 ივნისი - სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ქ.ბელგრადში, სერბეთი.</p> <p>29 ივნისი - სააგენტოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ეროვნული სარკისებრი კომიტეტის (NMC) ექსპერტებისთვის „IT შესაძლებლობები სტანდარტების შემუშავებისა და ეროვნული სარკისებრი კომიტეტის (NMC-ის) მართვისათვის“;</p> <p>31.07-05.08 - თარგმანის პროცესის განხორციელება მანქანური თარგმნის გამოყენებით.</p> <p>18-22 სექტემბერი - სააგენტოს წარმომადგენლებმა ონლაინ ფორმატში მონაწილეობა მიიღეს ისო-ს გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ქ. ბრისბენში.</p> <p>25-29 სექტემბერი - სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა “CEPAS” აკრედიტაციის მქონე პროგრამის ტრენინგი მეორე ეტაპი „ხარისხის მენეჯმენტის სიტემების წამყვანი აუდიტორები“.</p> <p>26 ნოემბერი-2 დეკემბერს, Twinning პროექტის ფარგლებში განხორციელდა სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტები ესპანეთის სტანდარტების ეროვნულ (UNE) ორგანოებში. ვიზიტის ფარგლებში სააგენტოსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.4.2. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგი პრიორიტეტების შესაბამისად	<p>დატრენინგებულ მონაწილეთა რაოდენობა;</p> <p>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>უწყების წლიური ანგარიში</p>	<p>სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო</p>		<p>AA Facility-ს ფარგლებში 2023 წლის იანვარში ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლებისთვის (ჯამში 10 ინსპექტორი) ჩატარდა ტრენინგები სამშენებლო პროდუქტების შესახებ (EU)No305/2011 რეგულაციის აღსრულებასთან დაკავშირებული ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, იმ ახალი სამშენებლო პროდუქტების მიმართულებით, რომლებიც 2023 წლიდან ემატება საზედამხედველო სფეროს.</p> <p>AA Facility-ს ფარგლებში, 2023 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა სამუშაო შეხვედრები სააგენტოს თანამშრომლებსა და მოწვეულ ექსპერტს შორის ბაზარზე ზედამხედველობის ქართული კანონმდებლობის დახვეწისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით.</p>
3.4.3. აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	<p>აკრედიტაციის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა</p>	<p>უწყების წლიური ანგარიში;</p> <p>www.gac.gov.ge</p>	<p>სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>9-14 იანვარს აკრედიტაციის ცენტრში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ევროკავშირის 768-ე დადგენილების შესაბამისად ნოტიფიკაციის სქემების ჩამოყალიბებისთან დაკავშირებით.</p> <p>16 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი ისო 14065:2020 სტანდარტის შესაბამისად სათბური გაზების ვალიდაციის და ვერიფიკაციის პროცესის შესახებ.</p> <p>11 აპრილს საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ ონლაინ სემინარს „ხარისხის ინფრასტრუქტურა მწვანე ტრანსფორმაციისთვის (QI4GT)“</p> <p>24 მაისს, ხორვატიის რესპუბლიკაში, ქალაქ დუბროვნიკში, ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციის 53-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოსა და მოლდოვას ეროვნული აკრედიტაციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობის გაძლიერებას, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის თემატური შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზებას, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას და ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას.</p> <p>აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ევროპული</p>

					<p>ონლაინ მოისმინა 13-მა წარმომადგენელმა. სწავლებას ასევე ესწრებოდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.</p> <p>4. 20-23 ივნისს ჩატარდა სწავლება - სურსათის კონტროლის სისტემის შეფასების ტრენინგი FAO/WHO შეფასების ინსტრუმენტის საშუალებით. მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 2-მა წარმომადგენელმა.</p> <p>5. 25-28 ივლისს ჩატარდა სწავლება ვეტერინარული პრეპარატების მიმართულებით (VMPs), ტრენინგს დაესწრო შემოსავლების სამსახურის 8 წარმომადგენელი, ხოლო ონლაინ მოისმინა 15- მა წარმომადგენელმა.</p> <p>6. 7-8 აგვისტოს გაიმართა სწავლება აკვაკულტურის მიმართულებით - „ცხოველთა ჯანმრთელობაზე მეთევზეობაში სურსათის უვნებლობის მიდგომით“, ტრენინგს დაესწრო შემოსავლების სამსახურის 10 წარმომადგენელი.</p> <p>7. 11-13 ოქტომბერს ევროკომისიის ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის დირექტორატის (DG SANTE) ინიციატივით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა სწავლება ევროკავშირის ვეტერინარული, სურსათის უვნებლობის და ფიტოსანიტარული კონტროლის ელექტრონულ სისტემაში TRACES მუშაობის შესახებ. დონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 20 წარმომადგენელმა.</p>
ამოცანა 4.4.	სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება				
4.4.1 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელება	განხორციელებული სასაზღვრო სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული პროცედურების რაოდენობა	განხორციელებულ პროცედურების შედეგები ასახულია კონტროლის აქტებში - შესაბამის პროგრამულ მოდულში	შემოსავლების სამსახური	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სურსათის ეროვნული სააგენტო	ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა 28399 სასაქონლო პარტიის მიმართ; ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა 17732 სასაქონლო პარტიის მიმართ; არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა 2933 სასაქონლო პარტიის მიმართ.
4.4.2 დაახლოებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის აშენება/ რეკონსტრუქციის	შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიში	შემოსავლების სამსახური	გარემოს დაცვისა და სოფლის	13-15 მარტს ექსპერტებმა დაათვალიერეს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტები თბილისის აეროპორტში, კარწახში და ნინოწმინდაში. რეკომენდაციები გაიცა ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და სურსათის უვნებლობის სასაზღვრო

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
განხორციელებისთვის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ინფრასტრუქტურის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის აშენება/ რეკონსტრუქციისთვის და აღჭურვისთვის დაფინანსების მოძიება	მიზნით შესაძლო დონორები იდენტიფიცირებულა და დაფინანსების მოთხოვნა გაგზავნილია.	rs.ge		მეურნეობის სამინისტრო სურსათის ეროვნული სააგენტო	კონტროლი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით რაც დაგვეხმარება დაფინანსების მოძიებისთვის.
მიზანი 5.	საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 5.1.	საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) პროგრამის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის პროგრამასთან				
5.1.1. AEO-ის პროგრამების ურთიერთ-აღიარების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყება	დაწყებულია კონსულტაციები AEO-ს ურთიერთაღიარების მემორანდუმის გაფორმების პროცესი საქართველოსა და ევროკავშირის შორის	საბაჟო ქვეკომიტეტის სხდომის ოქმი - https://trade.ec.europa.eu/	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	<p>26 იანვარს გაიმართა შეხვედრა ევროკავშირში საქართველოს მისიის წარმომადგენლების და DG TRADE-ის (ვაჭრობის გენერალური დირექტორატი) შორის, რომელზეც განხილული იყო DCFTA-ს განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მათ შორის საქართველოსა და ევროკავშირის შორის AEO-ების ურთიერთაღიარების შეთანხმება.</p> <p>23 თებერვალს გაიმართა შეხვედრა ევროკავშირში საქართველოს მისიის წარმომადგენლების და DG TRADE-ის (ვაჭრობის გენერალური დირექტორატი) შორის, სადაც განიხილეს სხვადასხვა საკითხები, მათ შორის, AEO-ს ურთიერთაღიარების საკითხი.</p> <p>6 ივნისს ევროკავშირი-საქართველოს საბაჟო ქვე-კომიტემა განიხილა AEO-ს მიმართულებით შემდგომი თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის ურთიერთ-აღიარების შეთანხმების და ტექნიკური თანამშრომლობის თემები.</p> <p>ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის, კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით კიმინოვში, მოლდოვის რესპუბლიკაში გაიმართა (13-14 სექტემბერი) სამუშაო შეხვედრა რომელიც დაეთმო მოლდოვის რესპუბლიკაში</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ავტორიზებული ეკონომიკური პროგრამის იმპლემენტაციის საკითხებს. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მე-10 შეხვედრაზე (13-14 დეკემბერი) განხილულ იქნა ურთიერთადიარების შეთანხმების შესაძლო მოლაპარაკების შესახებ საკითხები და ევროკავშირის მხრიდან შემოსავლების სამსახურისთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენის საკითხი, ურთიერთადიარების ხელშეწყობის მიზნით.
ამოცანა 5.2.	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთების მიზნით „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ „NCTS“ იმპლემენტაციისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა				
5.2.1. NCTS კომპიუტერული პროგრამის ტესტირება	შემოსავლების სამსახურში დანერგილი პროგრამის ტესტირება დასრულებულია	საბაჟო მონაცემთა მართვის ავტომატიზირებული სისტემა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		ტრანზიტის აპლიკაციის შექმნა დასრულებულია. აპლიკაცია ფუნქციონირებს (იტესტება) ეროვნულ დონეზე მიმდინარე წლის 3 აპრილიდან.
5.2.2. საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ტრენინგი NCTS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებისთვის	ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა	წლიური ანგარიში/ პრესრელიზი; Rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		31 მაისს, გაიმართა ტრენინგი საბაჟო დეპარტამენტის თბილისის, ფოთის, ბათუმისა და თბილისის აეროპორტის გაფორმების ეკონომიკური ზონების, ასევე ახალციხისა და ქუთაისის გაფორმების განყოფილებებისა და მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის NCTS აპლიკაციის ტესტირებისა და გამოყენების შესახებ. 14 ივნისს გაიმართა ტრენინგი ბათუმის პორტის, ვალეს, კარწახის და ფოთისა და ყულევის პორტებისა და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის თანამშრომლებისათვის. 13 აპრილს ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) პრეზენტაციის მიზნით, გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. საინფორმაციო შეხვედრის მსვლელობისას, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა კომპანიის წარმომადგენლებს პროექტის მიმდინარეობის, შინაარსისა და გამოწვევების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>26 ივნისს გაიმართა შეხვედრა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებსა და შვეიცარიულ კომპანია „SGS“ შორის, სადაც განხილულ იქნა NCTS მიმართულებით თანამშრომლობის პერსპექტივები.</p> <p>6 და 7 სექტემბერს გაიმართა ტრენინგი კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის, NCTS აპლიკაციის გამოყენების შესახებ.</p>
5.2.3 „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთება	კონვენციასთან მიერთების პროცედურა დაწყებულია და კონვენციასთან მიერთების მოწვევა მიღებულია	წლიური ანგარიში/ პრესრელიზი; Rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		ითარგმნა ერთიანი ტრანზიტის კონვენცია (CTC) და ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის (Single Administrative Document SAD) კონვენციების ტექსტები. კონვენციებთან მიერთების შესაბამისი შიდა პროცედურები დაწყებულია.
5.2.4 „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციების შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შემუშავება	მიღებული საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტები	წლიური ანგარიში/ პრესრელიზი; Rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		შემუშავდა და მიმდინარე წლის 3 აპრილიდან ძალში შევიდა ეროვნულ დონეზე ტრანზიტის აპლიკაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, ცვლილება შევიდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების ტექსტში და ასევე დაემატა დანართი №20 - „ ინსტრუქცია საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“.
ამოცანა 5.3.	ახალი საბაჟო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა				
5.3.1. ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა	www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ეკონომიკურ ოპერატორებთან, რომლის ფარგლებშიც მიეწოდათ ინფორმაცია გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის იმპლემენტაციისათვის მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
5.3.2. ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო დებულებების შემუშავება	საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების-დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა და გამარტივებული დეკლარაცია - საიმპლემენტაციო დებულებები შემუშავებულია	www.matse.gov.ge www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების, კერძოდ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტის პირველადი რედაქცია შემუშავებულია
5.3.3 საქართველოს საბაჟო კოდექსის X წიგნის საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავება	მიღებული საიმპლემენტაციო ნორმა	matsne.gov.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	შემოსავლების სამსახური	მიმდინარეობს შემუშავებული კანონქვემდებარე აქტების პროექტის განხილვა შემდგომი დახვეწის აუცილებლობის იდენტიფიცირების მიზნით.
მიზანი 6.	დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან				
ამოცანა 6.1.	ტელეკომუნიკაციების, ელ. კომერციისა და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა				
6.1.1. “ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება	"ელექტრონული კომერციის შესახებ" მიღებული საქართველოს კანონი	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“ თანმდევ ცვლილებებთან ერთად „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო“ კოდექსსა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში.
6.1.2. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ევროპარლამენტის შემდეგ დირექტივებთან დაახლოების მიზნით: <ul style="list-style-type: none"> - ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (2002/58/EC); - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); - ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მათთან დაკავშირებულ ობიექტებთან წვდომისა და ურთიერთდაკავშირების შესახებ (2002/19/EC);

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (2002/21/EC).</p> <p>ვეროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, იგეგმება XV-B დანართის განახლება, რომლის შესაბამისადაც ზემოაღნიშნული დირექტივებით განსაზღვრული საკითხები იმპლემენტირებული იქნება ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) შესაბამისად.</p> <p>ამასთან, სამინისტროსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად მსოფლიო ბანკთან დაწყებულ „Log-in Georgia“ პროექტის ფარგლებში, რომელშიც საკონსულტაციო კომპანია EY-იც იყო ჩართული, დასრულდა მუშაობა უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების საკითხებზე. მომზადდა ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“</p> <p>აღნიშნული ცვლილებების პროექტების მიღების მიზნით, იგეგმება შემდგომი პროცედურების განხორციელება.</p>
6.1.3. "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის განახლებული ვერსიის შემუშავება	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		<p>97/67/EC amended by Directives 2002/39/EC, 2008/6/EC დირექტივებზე დამატებით, იგეგმება XV-C დანართის განახლება, რომლის შესაბამისად, საქართველო აიღებს დაახლოვების ვალდებულებას საზღვრისპირა ამანათების მიწოდების შესახებ რეგულაციებთან ((EU) 2018/644, (EU) 2018/1263). აღნიშნული Facility for the Implementation of the EU – Georgia Association Agreement-ის ფარგლებში აისახა „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში.</p> <p>მომდევნო წელს დაგეგმილია კანონპროექტისა და მისი თანმდევი კანონპროექტების წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის.</p>
მიზანი 7.	საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება				
ამოცანა 7.1.	საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება				
7.1.1. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების	“საჯარო შესყიდვების შესახებ” მიღებული კანონი	matsne.gov.ge; parliament.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საქართველოს მთავრობა	<p>ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, 2023 წლის 9 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>განხორციელება ასოცირების შეთანხმების XVI-C, XVI-D დანართების შესაბამისად</p>					<p>რეფორმა მიზნად ისახავს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და ეფექტიანი ხარჯვის გაუმჯობესებას, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას, ევრო-რეგულაციებისა და ღირეუქტივების შესაბამისად, საჯარო შესყიდვების სისტემის კარდინალურ განახლებასა და მოდერნიზებას.</p> <p>კანონის ძირითადი დებულებები ამოქმედდება 2025 წლის პირველი იანვარიდან, ხოლო ცალკეული საკითხების ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 და 2029 წელი.</p> <p>ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ევროკავშირის კომუნალური სექტორის ღირეუქტივასთან დაახლოების პროცესი. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერი პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექპერტთან თანამშრომლობით მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის კომუნალური სექტორის ღირეუქტივასთან სამართლებრივ დაახლოებას. კანონპროექტის პირველი ვერსია გადაეგზავნა OECD-SIGMA-ს ექსპერტებს შენიშვნებისათვის. 2024 წლიდან დაგეგმილია კანონპროექტის ფართო განხილვა, რომელიც შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას.</p>
<p>7.1.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე “მეორადი კანონმდებლობის” - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება</p>	<p>მეორადი კანონმდებლობის პროექტები</p>	<p>procurement.gov.ge ; spa.ge</p>	<p>სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებაზე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს 2025 წლის 1 იანვარამდე.</p>
<p>7.1.3. მიღებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების</p>	<p>მეთოდური მითითებების, სახელმძღვანელოები ისა და ინსტრუქციების პროექტები</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter;</p>	<p>სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>ეკონომიკისა და მდგრადი</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მუშაობს „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე, შესაბამისი მეორადი კანონმდებლობის, მეთოდური მითითებების, სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების შესამუშავებლად.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შემუშავება და ელექტრონულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე		procurement.gov.ge ; spa.ge		განვითარების სამინისტრო	
ამოცანა 7.2.	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება				
7.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement) ახალი ელ. სერვისების, პროცედურების და ინსტრუმენტების განვითარება/დანერგვა	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ახალი ბიზნეს-პროცესები და ახალი არქიტექტურა, ახალი მოდულები და ახალი სერვისები	მოდერნიზებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (e-Procurement; Electronic Government Procurement System); სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო; ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	<p>„საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედების მიზნით, აქტიურ ფაზაშია სისტემის მოდერნიზებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები.</p> <p>გადაიწერა და ახალ ვერსიად გაეშვა კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემა (CTD) - ctd.spa.ge. სადაც უკვე შესაძლებელია ერთ მომხმარებელს ჰყავდეს რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაცია და პირიქით ერთ შემსყიდველ ორგანიზაციას რამდენიმე მომხმარებელი. სისტემას დაემატა შემსყიდვლის მიერ შევსებული გეგმების ექსპორტი PDF ფორმატში.</p> <p>Spa.ge-ს გამოეყო ბაზრის კვლევის მოდული და ცალკე ვებგვერდად ჩამოყალიბდა, სადაც შესაძლებელია განცხადების ძებნა ბაზრის კვლევის დასახელების, გამომცხადებელი შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებით, საიდენტიფიკაციო კოდით, გამოცხადების თარიღით ან CPV კოდის მიხედვით.</p> <p>სააგენტოს სასწავლო ცენტრთან ერთად მიმდინარეობს შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის საგამოცდო და მსმენელების საადრიცხო პროგრამის გადაწერა და ახალ ვერსიად ჩამოყალიბება. მიმდინარეობს პროგრამის ეტაპობრივი განახლება. ტრენინგ ცენტრის მოთხოვნით ხორციელდება პროგრამის დამატებითი ფუნქციების შემუშავება, ჩაშენება და პარალელურ რეჟიმში ტესტირება.</p>
ამოცანა 7.3.	ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში				
7.3.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა - 15	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		28 მარტს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდა კიბერუსაფრთხოების კუთხით, ინფორმაციული

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	გადამზადებული თანამშრომელი	სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge			<p>ტექნოლოგიების, სისტემების და მომსახურებების მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება.</p> <p>25 აპრილს, 11 მაისს და 9 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში, „სახელმწიფო შესყიდვების პროცესი და „მიწოდების ჯაჭვი“ (supply chain). აღნიშნულ შეხვედრებზე შეიმუშავეს რეკომენდაციები ინფორმაციული ტექნოლოგიების, სისტემების, პროდუქტების და მომსახურებების მიმართ, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>19-20 აპრილს გაიმართა სემინარი თემაზე „მდგრადი საჯარო შესყიდვების პრინციპების დანერგვა საქართველოში, გამოწვევები, საერთაშორისო გამოცდილება“. სემინარი გაიმართა აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ ექსპერტები აშშს ზოგადი სერვისების ადმინისტრაციიდან (GSA) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამიდან (UNEP). სემინარზე მოწვეულმა ექსპერტებმა წარმოადგინეს მოწინავე გამოცდილება მდგრადი შესყიდვების სფეროში და რეკომენდაციები მისი წარმატებულად დანერგვის თაობაზე.</p> <p>18-20 მაისს კახეთში, საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ორგანიზებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მხარდაჭრილი პროექტის ფარგლებში გაიმართა „მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გავრცელების პრევენცია და სანქციების აღსრულება“ სასწავლო შეხვედრა.</p> <p>9-11 ივნისს ქ. თელავში ევროკავშირის პროექტის - „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების მომზადების თაობაზე.</p> <p>პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - ECO.Georgia“ - ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშავდება ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული გაიდლაინები.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>19-23 ივნისს ჩატარდა სასწავლო ტური გერმანიაში „ენერგეტიკული გადასვლის“ (energy transition) მაგალითების გასაცნობად და იმ პროცესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომლებსაც მდგრადი საჯარო შესყიდვები მოითხოვს.</p> <p>28-29 ივნისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივის ვალდებულებების დანერგვის მიზნით. შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და SIGMA-ს (OECD და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივა) მხარდაჭერით. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის სააგენტოს, დავების განხილვის საბჭოს, მარეგულირებელი კომისიების და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე მოწვეულმა ექსპერტებმა აუდიტორია გააცნეს ევროკავშირის კომუნალური დირექტივის ძირითადი დებულებები და ამ კუთხით ევროკავშირის ქვეყნების მოწინავე გამოცდილება.</p> <p>27-28 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას თემაზე „ამბიციური დღის წესრიგი ევროკავშირთან ასოცირებისათვის: საქართველოს საჯარო შესყიდვების სისტემის ტრანსფორმაცია“. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.</p> <p>4-7 დეკემბერს USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა/ტრენინგი, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის ქვეყნების საჯარო შესყიდვების ბაზრებზე წვდომის საკითხებს. შეხვედრაზე საერთაშორისო ექსპერტმა ხორვატიიდან მონაწილეებს გაუზიარა ხორვატიის გამოცდილება ამ კუთხით. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოში მსხვილი ბიზნეს გაერთიანებების წარმომადგენლებმა.</p>
7.3.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ	შემსყიდველი ორგანიზაციების,	სახელმწიფო შესყიდვების	სსიპ სახელმწიფო		საჯარო შესყიდვების ახალ კანონთან დაკავშირებით, სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში,

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება შესყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	ეკონომიკური ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: 14 ნაკადი 2023 სასწავლო წლის განმავლობაში; ჯამში 190 მსმენელი	სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge	შესყიდვების სააგენტო		<p>სააგენტოს თანამშრომლების მიერ, 2023 წლის იანვარი-დეკემბერის მონაცემებით ჩატარდა ტრენინგების 13 კურსი თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“.</p> <p>აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში, ჯამში გადამზადდა 296 სპეციალისტი, რომლებიც შესყიდვების კუთხით, დასაქმებულები არიან სახელმწიფო უწყებებში, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებსა და მპს-ებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ დაფუძნებულ და მათ მართვაში არსებულ ააიპ-ებში. მონაწილეებს ტესტირების საფუძველზე გადაეცათ სერტიფიკატები.</p> <p>USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და USAID-ის ადგილობრივი მმართველობის პროგრამის ხელშეწყობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, ასოციაცია „ანიკას“-თან და „მაკ-ჯორჯია“-სთან თანამშრომლობით 28 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით, 13 შპმ პირს ჩაუტარდა კურსი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შერჩეულ საკითხებზე. კურსის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. აპრილის თვეში გაიმართა სემინარი თემაზე “როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და მივადწიოთ წარმატებას“. პროგრამა განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან და ბიზნეს ასოციაციასთან „ქალები მომავლისთვის“ ერთად. სემინარზე გადამზადდა და სერტიფიკატი გადაეცა 17 მეწარმე ქალბატონს.</p>
მიზანი 8.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 8.1	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
8.1.1 შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის	შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	3 მაისს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. კრებული ქართულ ენაზე გამოიცა EUGIPP პროექტის ფარგლებში. ნაშრომი შედგენილია ევროკავშირის საერთო სასამართლოს (GCEU), ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა (CJEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო საბჭოს (BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე და მისი მიზანია

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება	ორგანიზებული/ჩატარებული არანაკლებ ხუთი ტრენინგი/სემინარი /სამუშაო შეხვედრა.				<p>საქართველოსა და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკის დაახლოება.</p> <p>10-11 მაისს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, EUGIPP პროექტის ფარგლებში, შედგა სასწავლო ვიზიტი უნგრეთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სფეროს წარმომადგენლებმა და საქპატენტის თანამშრომლებმა. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები ეწვივნენ უნგრეთის საბაჟო და საგადასახადო უწყებებს და გაეცნენ სხვადასხვა სფეროს მუშაობის სფეციფიკას.</p> <p>29-30 ივლისს, საქპატენტის და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, ბათუმში ჩატარდა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესახებ. ღონისძიებას საქართველოს საერთო სასამართლოების 25 მოსამართლესთან ერთად, 2 მოსამართლე აშშ-დან, ერთი კი ევროკავშირიდან დაესწრო.</p> <p>16 დეკემბერს, CLDP-ს ორგანიზებით ქ. კიშინოვში გაიმართა კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპერტთა ღონის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრას საქართველოდან ესწრებოდნენ საქპატენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ფოთის საბაჟო გამშვები პუნქტის წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკა საბაჟოზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მიმართულებით.</p>
8.1.2 ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მოსამართლეთა დისტანციური სწავლების კურსის - „DL for Judges“ შემუშავება	შემუშავებული კურსი	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		<p>WIPO-ს აკადემიასთან შეთანხმებით, ქართულ ენაზე ითარგმნა კურსის მასალა. ასევე, საქპატენტისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის 10 ტრენერისთვის ონლაინ ფორმატში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგის (ToT) პირველი სესია ე.წ. მასტერკლასი.</p> <p>ინ. ბმული: https://www.sakpatenti.gov.ge/ka/news_and_events/559/</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 8.2.	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება				
8.2.1. საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება	თანამშრომელთათვის ორგანიზებული შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა (არანაკლებ ხუთი ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა/სემინარი)	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		<p>1 თებერვალს, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ორი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთადიარებისა და დაცვის შესახებ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას. შეთანხმების საფუძველზე მოლდოვას რესპუბლიკა იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მქონე პროდუქტების დაცვას ნებისმიერი არასწორი გამოყენების, იმიტაციის ან მიბაძვისაგან. თავის მხრივ, საქართველოში დაცული იქნება მოლდოვას რესპუბლიკის ათი გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მქონე პროდუქტი.</p> <p>6-10 თებერვალს, საქპატენტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ამერიკის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებულ ადმინისტრაციულ პროგრამაში, რომელიც ვირჯინიის შტატში გაიმართა. პროგრამის ფარგლებში განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყებების ფუნქცია-მოვალეობები, ბიუჯეტის ფორმირებისა და საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის საკითხები. გარდა ამისა, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ჰიბრიდული სამუშაო გარემოს შექმნის უპირატესობაზე, მონაცემთა ბაზების გაუმჯობესებასა და მეტი გამჭვირვალობის მიღწევის საშუალებებზე.</p> <p>19-22 თებერვალს, ოსტინში, აშშ, CLDP-ის მხარდაჭერით, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად საქპატენტის თანამშრომელი დაესწრო და მონაწილეობა მიიღო AUTM-ის ყოველწლიურ შეხვედრაში. მოწვეული დელეგაციები დაესწრნენ ტრენინგს, რომელსაც უძველესად CLDP-ის ექსპერტები. აღნიშნულ ტრენინგზე გაზიარებული იქნა ტექნოლოგიების გადაცემის საუკეთესო პრაქტიკა. პროგრამის მიზანი იყო დისკუსიის მონაწილე მხარეებს შორის ტექნოლოგიების გადაცემისა და ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის მხრივ ხელის შეწყობა და ამ მიმართულებით მონაწილეების შესაძლებლობების გაძლიერება.</p> <p>საქპატენტის თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში 15-17, 20-21 და 29-31 მარტს საქპატენტში ჩატარდა ტრენინგების ციკლი,</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>რომელსაც უძღვებოდნენ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) წამყავნი ექსპერტები. ტრენინგები, რომელიც ჩატარდა EUGIPP პროექტის ფარგლებში, მოიცავდა დარგობრივი ექსპერტებისთვის ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში სრულად გადამზადდა საქპატენტის 30 თანამშრომელი.</p> <p>22-23 მარტს საქპატენტის თანამშრომლები EUGIPP პროექტის ფარგლებში ეწვივნენ ესპანეთის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას OEPM, სადაც გაეცნენ მისი საქმიანობის სპეციფიკას, ორგანიზაციის სტრუქტურასა და სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს, ასევე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით დანერგილ სიახლეებს. გარდა ამისა, დელეგაციის წევრები გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების წინასწარი დიაგნოსტიკის მომსახურების სპეციფიკას, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერის კუთხით.</p> <p>23 მარტს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრისა და საქპატენტის თანაორგანიზებით, ჩატარდა ვებინარი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ. ვებინარზე, რომელსაც საქპატენტის 50-მდე თანამშრომელი დაესწრო, გაზიარებული იქნა WIPO-ს მედიაციისა და არბიტრაჟის ცენტრის საქმიანობის პრაქტიკა, ასევე, განხილულ იქნა WIPO-ს მედიაციის წესები და პრინციპები, რომლებიც გამოიყენება მედიაციის პროცესში ეფექტიანობის მისაღწევად.</p> <p>24 მარტს, EUGIPP პროექტის ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისა წარმომადგენლები, გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, ესპანეთის სამეფოში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ ერთ-ერთი ესპანური ადგილწარმოშობის დასახელების ასოციაციის მარეგულირებელ საბჭოს.</p> <p>20 აპრილს, EUGIPP პროექტის ფარგლებში, საქპატენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა,</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>რომელიც მიზნად საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის საქმიანობის გაუმჯობესებას. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს EUIPO-ს პრაქტიკა და გამოცდილება ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს მოწყობის, სტრუქტურისა და მეთოდოლოგიაში დანერგილი ძირითადი მიმართულებების შესახებ.</p> <p>განხორციელდა „საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება. აღნიშნული შეთანხმება გააძლიერებს სამრეწველო საკუთრების დაცვას და ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიზნების მიღწევას. ვალიდაციით იზრდება საქართველოს EPO-ში გაწევრიანების შესაძლებლობა. ასევე, აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საპატენტო კანონში.</p> <p>30 ოქტომბერს, WIPO-საქპატენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი საჯარო უწყებების, მათ შორის საქპატენტის თანამშრომლებისთვის, გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის მართვის ასპექტების შესახებ.</p> <p>14-16 ნოემბერს, საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში, საქპატენტის ოფისში, გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ექსპერტებისთვის შვეიცარიელი ექსპერტის მიერ ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი. ტრენინგების მთავარი თემა შეეხებოდა მოქმედების თავისუფლების (FTO) ძიებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში. ტრენინგების მიზანი იყო იმ სერვისების შესაძლებლობებისა და ხარისხის გაძლიერება, რომლებსაც საქპატენტი სთავაზობს ინტელექტუალური საკუთრების მომხმარებლებსა და საზოგადოებას.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 8.3.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება				
8.3.1. ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	<p>ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ ხუთი ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა - მათ შორის - პროფესიული განვითარების პროგრამა - PDP, ELSA-ს საზაფხულო სკოლა, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ზოგადი კურსი - DL101GE)</p>	<p>sakpatenti.gov.ge</p>	<p>სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>მიმდინარე წლის თებერვალში დასრულდა პროექტი „კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრების სწავლება საქართველოს სკოლებში“. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა სასკოლო განათლებაში ინტელექტუალური საკუთრების სწავლების დანერგვას, ინტელექტუალური საკუთრების სწავლების მეთოდოლოგიაში გადამზადდა 28 სკოლის 108 მასწავლებელი. მათ განვლილ სასწავლო პერიოდში ჩაატარეს 700 გაკვეთილი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. გაკვეთილებს ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების 2200 მოსწავლე.</p> <p>1, 9, 14, და 22 მარტს, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ“ სალექციო კურსი. სტუდენტებმა სიღრმისეულად შეისწავლეს ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტები და გაიღრმავეს ცოდნა დარგში მოქმედო კანონმდებლობისა და ობიექტებიდან გამომდინარე უფლებების შესახებ.</p> <p>22 მაისს, აგრარულ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით, საქპატენტის წარმომადგენლები სოფელ ბაბანურში შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს, მეცხვარეებს, თუშური გუდის მწარმოებელთა ასოციაციის წევრებს და გააცნეს მათ „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით გათვალისწინებული არსებითი ცვლილებები.</p> <p>14-16 ივნისს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის ორგანიზებით, საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელსაც 62 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენლის დაესწრო, ხოლო დისტანციურად ჩაერთო 800-მდე მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ქვეყნიდან. ასევე, მოეწყო საქპატენტში რეგისტრირებული 64 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოფენა.</p> <p>17 ივნისს, ქ. ბოლნისში ჩატარდა ადგილწარმოშობის დასახელების დვინოების გამოფენა (ფესტივალი), რომელშიც მონაწილეობა საქპატენტის წარმომადგენელთან ერთად მიიღეს გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული საქონლის მწარმოებელმა კომპანიებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ფესტივალის მიზანი იყო, ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული პროდუქციის პოპულარიზაცია და მწარმოებელთა ხელშეწყობა.</p> <p>30 ივნისს დასრულდა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა. 5 დღის განმავლობაში 7 ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტის 11 სტუდენტმა საქპატენტის სასწავლო ცენტრში სპეციალიზებული პროგრამა გაიარა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საკითხების შესწავლას ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შესახებ.</p> <p>ინტელექტუალური საკუთრების ზოგად კურსის DL101GE საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე მონაწილეობა მიიღო სულ 358 მონაწილემ. გამოცდაზე გავიდა 157, ხოლო წარმატებით ჩააბარა 135 მონაწილემ. ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების უფასო, ქართულად ადაპტირებული კურსია და განკუთვნილია ინტელექტუალური საკუთრების დარგით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.</p> <p>30 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს, WIPO-საქპატენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თუმური გუდის ყველის მწარმოებლებისთვის კახეთის რეგიონში, ჩატარდა ალვანში ორდღიანი ტრენინგი, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტი უძღვებოდა. პროექტის მიზანი თუმური გუდის მწარმოებლების შესაძლებლობების გაძლიერება გახლდათ.</p> <p>5 ნოემბერს, საქპატენტის მხარდაჭერით, თელავში ყოველწლიური ტრადიციული ფესტივალი „ჭაჭა“ 2023 გაიმართა. საქპატენტის წარმომადგენლებმა ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს გეოგრაფიული აღნიშვნებისა</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>და ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციისა და დაცვის მექანიზმები გააცნეს.</p> <p>14 ოქტომბერს, ჩატარდა გურჯაანის ღვინის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქპატენტის წარმომადგენლებმა და გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული საქონლის მწარმოებელმა კომპანიებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ფესტივალის მიზანი იყო, ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული პროდუქციის პოპულარიზაცია და მწარმოებელთა ხელშეწყობა.</p>
8.3.2. საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების გამოცემა	გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალების რაოდენობა	გამოცემული ბუკლეტები და ფლაერები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		საანგარიშო პერიოდში გამოცემულია 1269 ერთეული საინფორმაციო ხასიათის მასალა.
ამოცანა 8.4.	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება				
8.4.1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით	მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		<p>24-25 ივლისს ქ. ბათუმში, საქპატენტის და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, გაიმართა რიგით მე-7 საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. კონფერენციას სხვადასხვა ქვეყნის აღსრულების უწყებების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო 200-მდე საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელი.</p> <p>26 ივლისს ჩატარდა სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა) ექსპერტთა ღონის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების სფეროში გამოწვევების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპას შორის რეგიონული თანამშრომლობის გასაღრმავებლად.</p> <p>27 ივლისს, ქ. ბათუმში, საქპატენტის და CLDP-ის ორგანიზებით, ჩატარდა ტრანს - კასპიის ინტელექტუალური</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					საკუთრების ფორუმი. ფორუმის მონაწილეები იყვნენ სომხეთის, მოლდოვას, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და საბაჟო დეპარტამენტების წარმომადგენლები. ფორუმის დელეგატებმა განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების მიმართულებით რეგიონულ გამოწვევები და მათი გადაჭრის მეთოდები, ასევე რესურსების ხელმისაწვდომობისათვის ქვეყნებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების გზები, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს უფლებების დაცვის და აღსრულების ინსტრუმენტების გამოყენება.
8.4.2 კონტრაფაქციული და პირატული პროდუქციის გამოვლენა, მათ შორის საზღვარზე და დამრღვევი ქმედებების აღკვეთა	გამოვლენილი და გამოძიებული საქმეების რაოდენობა	წლიური ანგარიში	ფინანსთა სამინისტრო; შემოსავლების სამსახური	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2023 წელს დარეგისტრირდა 248 ნიშანი. 2023 წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტის მიერ სავარაუდოდ კონტრაფაქციული საქონლის შეჩერების შესახებ გამოიცა 301 ბრძანება. აქედან, 249 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე. 15 შემთხვევაში უფლების მფლობელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ხოლო დანარჩენ (37) შემთხვევაში საქონელი გაშვებულ იქნა, რადგან არ/ვერ დადგინდა საქონლის კონტრაფაქციულობა.
მიზანი 9.	კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით				
ამოცანა 9.1.	ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების პოლიტიკის მიმართულებით				
9.1.1. კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	ჩატარებული სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2023 წელს სააგენტოს ორგანიზებითა და მისი წარმომადგენლების ჩართულობით კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის გაიმართა 12 ღონისძიება. კერძოდ, სააგენტოს წარმომადგენლების ჩართულობით საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ჩატარდა 7 საჯარო ლექცია, რომლებიც ეხებოდა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების საკითხებსა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმებს. სააგენტოს ინიციატივითა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის პროექტის მხარდაჭერით,

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მოსამართლეებისთვის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც განხილული იყო კონკურენციის სამართლის მიმდინარე გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და მიღებული გადაწყვეტილებები.</p> <p>ამასთან, ქ. თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმის ერთ-ერთ სესიას - „კონკურენტუნარიანობის როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“, ხელმძღვანელობდა სააგენტოს თავმჯდომარე, რომლის ფარგლებშიც კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები და მიმდინარე აქტუალური საკითხები იქნა განხილული.</p> <p>საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ასოციაციის წევრ ეკონომიკურ აგენტებსა და სააგენტოს წარმომადგენლებს შორის, შეხვედრის მონაწილეებმა სააგენტოს მხრიდან მიიღეს ინფორმაცია კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების, მიღებული შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ და განიხილეს მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები, მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები.</p> <p>სააგენტოს ორგანიზებით და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის პროექტის მხარდაჭერით, ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებისთვის მრგვალი მაგიდა გაიმართა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა კონკურენციის პოლიტიკის დაცვის და მისი აღსრულების მექანიზმები მიმოიხილეს. სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, რომელსაც ბიზნეს ასოციაციების და კოლეგა მარეგულირებელი უწყების წარმომადგენლები, კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები, დარგის საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები ესწრებოდნენ.</p> <p>ხუთი მარეგულირებელი უწყების - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ეროვნული ბანკის, სემეკის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა, II</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“. კონფერენციაში 20-მდე ქვეყნის დელეგაცია და 10-მდე სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის და მომხმარებლის სექტორში მომუშავე უწყების პირველი პირები, სამთავრობო და საპარლამენტო გუნდის წევრები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, საჯარო უწყებების, მარეგულირებელი ორგანოების, აკადემიური წრის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.
9.1.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის	ჩატარებული სემინარების და შეხვედრების რაოდენობა, მონაწილეთა რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2023 წელს ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა ერთი სემინარი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის, ბიზნეს ასოციაციების და კერძო კომპანიების წარმომადგენლებმა. კერძოდ, 2023 წლის 28-29 ივნისს ქ. თბილისში აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გაიმართა სემინარი „ანტიდემპინგი საქართველოში: ეფექტური აღსრულება და საუკეთესო პრაქტიკა“. სემინარის პირველი დღე, 28 ივნისი განკუთვნილი იყო კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის.
ამოცანა 9.2.	თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება				
9.2.1. კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან (მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებთან) დაკავშირებით ტრენინგების, სემინარების, სასწავლო ვიზიტების ორგანიზება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარები ს/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2023 წელს სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებულ 15 ღონისძიებაში. კერძოდ, სააგენტოს თანამშრომლებისათვის 5 ტრენინგი ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ტვინინგის“ პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებზე განხილული იყო ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები, კონცენტრაციების კონტროლის ეფექტური მექანიზმები, ბაზრის შესწავლის მექანიზმები, ჯარიმის განსაზღვრის მეთოდოლოგია და OSINT ხელსაწყოების გამოყენება მოკვლევების დროს ამასთან, სააგენტოს თანამშრომლები დაესწრნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო ლექციას, სადაც განხილული იყო კონკურენციის სამართლის თანამედროვე გამოწვევები და მისი მიზნები.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უნგრეთში, ქ.ბუდაპეშტში და აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში OECD-GVH RCC-ის ეგიდით გამართულ სამ ღონისძიებაში, სადაც განხილული იყო კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირების აქტუალური საკითხე. სააგენტოს წარმომადგენლები ასევე დაესწრნენ OECD-ის ორგანიზებულ ვებინარს, რომელიც შეეხებოდა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება ციფრულ ბაზრებზე. ამასთან სააგენტოს წარმომადგენელი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა UNCTAD-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, ქ. ჟენევაში, სხვადასხვა ქვეყნების მიერ გაზიარებულ იქნა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.</p> <p>17-20 ოქტომბერს, ქ. ბარსელონაში სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, სადაც განხილული იყო კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება და მდგრადობის გაძლიერება, სექტორულ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობა და გამოწვევები, ICN-ის პრაქტიკა, მიღებული შედეგები და უახლესი ტენდენციები, კონკურენციის უწყებების საქმიანობა, შესაძლებლობები და რისკ-ფაქტორები.</p> <p>სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ვროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის ორგანიზებით, გაფართოების და სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებისთვის გამართულ სემინარში, სადაც განხილული იყო ანტიმონოპოლიური და კარტელური პროცედურები, სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტები, კონკურენციის მართვის პოლიტიკა და მექანიზმები, საერთაშორისო პრაქტიკა და მნიშვნელოვანი ქეისები, ევროკავშირის მიერ შერწყმის რეგულირება და სხვა.</p> <p>სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ალბანეთში, ქ.ტირანაში გამართულ კონფერენციაში, სადაც განხილული იყო განხილული იყო სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე დაყრდნობით, კონკურენციის პოლიტიკის მართვის მეთოდები, შედეგები, გამოწვევები, ადვოკატირების მექანიზმები, ურთიერთთანამშრომლობის</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გაძლიერების შესაძლებლობები და ა.შ. ასევე, სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიწვევით, საფრანგეთის ქ.პარიზში, კონკურენციის შესახებ გამართულ რიგით 22-ე გლობალურ ფორუმს, სადაც მთავარ განხილვის საგანს წარმოადგენდა - კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება, საერთაშორისო პრაქტიკის, ტენდენციების, მიღებული შედეგების, გამოწვევის გაზიარება და სამომავლო, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა წარმოადგენდა. მათ შორის, სამუშაო შეხვედრების ფორმატში, მონაწილეებმა მიმოიხილეს - თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შესაძლებლობები, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დროს მისი გამოვლენისა და ადკვეთის მეთოდები, კონცენტრაციების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები და ა.შ.</p> <p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „TWINNING“-ის პროექტის მხარდაჭერით სააგენტოს წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლიეტუვაში, ქალაქ ვილნიუსში. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა კონცენტრაციების კონტროლის ეფექტიან მექანიზმები, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები, სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფაქტები და მოკვლევის პროცესის ეფექტურად წარმართვის პრაქტიკული მაგალითები.</p>
<p>9.2.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების/სემინარები ს/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა</p>	<p>სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge</p>	<p>სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო</p>		<p>2023 წელს სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით 3 სასწავლო ღონისძიებაში, კერძოდ, დაესწრნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ელექტრონულ კურსს სახელწოდებით: „ სწრაფი მოქმედების გზა სუბსიდიებისა და საწინააღმდეგო ზომებისაკენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“. ამასთან, 2023 წლის 28-29 ივნისს ქ. თბილისში აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გაიმართა სემინარი „ანტიდემპინგი საქართველოში: ეფექტური აღსრულება და საუკეთესო პრაქტიკა“. სემინარის მეორე დღე, 29 ივნისი, განკუთვნილი იყო სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასევე, სააგენტოს</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ დაგეგმილ ფორუმში, ქ. ჟენევაში. სადაც განხილული იყო ვაჭრობაში სხვადასხვა დაცვითი ღონისძიებების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხები.
მიზანი 10.	მდგრადი განვითარების ხელშეწყობა				
ამოცანა 10.1.	ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა				
10.1.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში, პრიორიტეტულ სახეობებზე კვლევის ჩატარება შავი ზღვის არეალზე -კამბალას სახეობაზე, რაპანას სახეობაზე, რეგიონული ტრენინგები.	შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა, მიღებული გამოცდილება და ასევე, BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა თევზის შესაბამის სახეობებზე.	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	<p>სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის 4 თანამშრომელი დაესწრო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (FAO/GFCM) მხარდაჭერით ორგანიზებულ სამ სამუშაო შეხვედრას/ტრენინგს ვირტუალურ ფორმატში, ხოლო 5 თანამშრომელი ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთში ქ. ტრაბზონში BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში 13-17 თებერვალს გამართულ თევზების ასაკის განსაზღვრის მეთოდებთან და დემერსალური ტრალური გადაღების სტანდარტიზაციის მიდგომებთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობის მიღების მიზნით.</p> <p>აპრილსა და ივნისში, BlackSea4Fish-ის პროექტის ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მეთევზეებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც, პარალელურად, შეგროვდა ინფორმაცია სანაპირო მეთევზეების მიერ გამოყენებული ბადე- იარაღების შესახებ, აგრეთვე შეგროვდა ინფორმაცია კამბალას სახეობაზე ჭერის დროს ძუძუმწოვრების თანჭერილის შემთხვევების შესახებ. მეთევზეებს აგრეთვე დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები.</p> <p>17-21 მარტს, გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო GFCM-ის მხარდაჭერით ორგანიზებულ სემინარში საზღვაო აკვაკულტურის ზონების გამოყოფა და მართვის გეგმების შემუშავება (ქ. მუსკატი, ომანი), რომელზედაც წარდგენილი იქნა საქართველოში აკვაკულტურის ზონირებასთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები და</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პროგრესი, ამ სფეროში არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები;</p> <p>24 -28 აპრილს, სააგენტოს 3 თანამშრომელი ქ. სტამბულში, თურქეთში, დაესწრო GFCM/BlackSea4Fish პროექტის მიერ რაპანის კვლევებთან და პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით დაგეგმილ შეხვედრას;</p> <p>17-18 მაისს, გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო GFCM-ის მხარდაჭერით ორგანიზებულ სემინარში აკვაკულტურაში პასუხისმგებელ ინვესტიციებზე თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ, (ალექსანდრია, ეგვიპტე), რომელზედაც წარდგენილი იქნა საქართველოს აკვაკულტურის სექტორში არსებული მდგომარეობა და ინვესტირების არსებული და პოტენციური შესაძლებლობები;</p> <p>28 მაისს - 3 ივნისს, სააგენტოს 2 თანამშრომელი მონაწილეობდა ქ. ტრაბზონში, თურქეთში, GFCM მხარდაჭერით მიმდინარე BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში დემერსალური ტრალირების სატესტო შეხვედრაში „შავი ზღვის ფსკერული ტრალის სტანდარტიზაცია და გემის საჭერი ბადე-იარაღის ტესტირება“;</p> <p>3-7 ივლისს, სააგენტოს 2 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ ბურგასში (ბულგარეთი) გამართულ GFCM-ის მხარდაჭერით მიმდინარე შავი ზღვის მარაგების შეფასების ქვე-რეგიონული ჯგუფის (SGSABS) სესიაში, შავი ზღვის ქაფშიის მარაგის შეფასებასთან დაკავშირებით;</p> <p>17-21 ივლისს, სააგენტოს 3 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა ქ ბურგასში (ბულგარეთი), გამართულ GFCM-ის მხარდაჭერით მიმდინარე შავი ზღვის მარაგების შეფასების ქვე-რეგიონული ჯგუფის (SGSABS) სესიაში, შავი ზღვის პრიორიტეტული სახეობის მარაგების შეფასებასთან დაკავშირებით;</p> <p>გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო მეთევზეობისა და აკვაკულტურის საერთაშორისო სიმპოზიუმში (SOFAS). გარდა აღნიშნულისა მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა აკვაკულტურაში ახალგაზრდა ქალების ჩართულობას (Empowering Women Towards Sustainable Development).</p> <p>29 სექტემბერს, სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება/შეთანხმების წერილი პროექტის “სტანდარტიზებული სამეცნიერო კვლევა ბიმ ტრალით რაპანაზე საქართველოს სანაპირო წყლებში” განხორციელების თაობაზე.</p> <p>GFCM-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით შემუშავდა და მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აპრილის N639 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონები, რომელიც ითვალისწინებს არეალებს როგორც თევზის, ასევე მოლუსკების წარმოებისათვის. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სექტორში ინვესტირების, წარმოების გაზრდისა და შესაბამისი პროდუქციის ექსპორტის უზრუნველსაყოფად.</p>
10.1.2. ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობის ხელშეწყობა.	ქვეყანაში მოწყობილი საქმიანი ეუზობის რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოეწყო დამატებით 23 საქმიანი ეუზო. ჯამში ქვეყნის მასშტაბით ამ დროისთვის მოწყობილია 54 საქმიანი ეუზო.
10.1.3. ეკონომიკური ღირებულების მქონე მცენარეთა შერჩეული სახეობების რესურსის შეფასება	შეფასებულია თეთრყვავილას რესურსი	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		თეთრყვავილას ეკონომიკური ღირებულების რესურსის შესაფასებლად ჩატარდა კვლევა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა საველე სამუშაოები, რომლის საფუძველზე მომზადდა მეორე ანგარიში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.
ამოცანა 10.2.	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების/ხელშეკრულებების შესრულება				
10.2.1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენილი -	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის		ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023) 2022 წლის ანგარიში მომზადებულია.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023) განხორციელების წლიური ანგარიშის მომზადება	კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2021-2023) 2022 წლის ანგარიში	შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	მეურნეობის სამინისტრო		ანგარიში წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და განთავსდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.
10.2.2. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების ახალი, 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება	2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი	DCFTA-ის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		საქართველოს კლიმატის ცვლილების 2024-2025 წლების გეგმა შემუშავებულია.
10.2.3. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) პირველადი სამუშაო ვერსიების მომზადება	ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი მე-5 ეროვნული შეტყობინების მოსამზადებლად; შექმნილი სამუშაო ჯგუფი ეროვნული ინვენტარიზაციისთვის.	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		<p>გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიანი გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) მომზადება დაწყებულია შეირჩენენ ექსპერტები და ჩამოყალიბებულია დოკუმენტები შესაბამის ნაწილებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფები.</p> <p>ეროვნული სათბურის აირების ინვენტარიზაციის მოსამზადებლად ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი .- ინვენტარიზაციის კომპონენტი შევა, როგორც მე-5 ეროვნულ შეტყობინებაში (FNC), ისე პირველ ორწლიურ გამჭვირვალობის ანგარიშშიც (BTR). ასევე დაიწყო იდენტიფიცირებული სექტორებისთვის მოწყვლადობის ანალიზისა და ეროვნული ინვენტარიზაციის მომზადება.</p> <p>შემუშავდა BTR-ის 1 თავის (ეროვნული გარემოებები) სამუშაო ვერსია.</p>
ამოცანა 10.3.	შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად				
10.3.1. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება შრომითი ნორმების შესახებ	საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა; თემატურად მომზადებული	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - https://lio.moh.gov.ge/index.php?lang=1	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და	2023 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი ნორმების, მათ შორის, მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეების შესახებ ჩატარდა 35 საინფორმაციო შეხვედრა (1700-მდე პირისთვის). გარდა ამისა, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 6 შეხვედრა, სადაც ახალგაზრდები გაეცნენ სამსახურის მანდატს, საკანონმდებლო სიახლეებსა და შრომის უფლებების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	მასალების რაოდენობა;			სოციალური დაცვის სამინისტრო	<p>ძირითად პრინციპებს. შეხვედრებს ესწრებოდა 300-მდე სტუდენტი.</p> <p>გარდა ამისა, 23 სატელევიზიო გადაცემაში მიიღო მონაწილეობა შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენელმა, რომელმაც საზოგადოებას გააცნო სამსახურის საქმიანობისა და მიმდინარე საკონომდებლო სიახლეების შესახებ ინფორმაცია.</p> <p>ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი lio.moh.gov.ge ასევე უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს სამსახურის ცხელი ხაზი 1575, რომელმაც საანგარიშო პერიოდში უპასუხა 11 000-ზე მეტ შემომავალ ზარს და მოთხოვნის შესაბამისად გასწია კონსულტაცია როგორც შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობასთან, ასევე, ნორმების განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p> <p>საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა 3 ბუკლეტი და 19 ვიდეორგოლი, მათ შორის, შრომით ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის „ინსპექტორის რჩევები“ (#ინსპექტორისრჩევები) ფარგლებში მომზადდა 13 ვიდეორგოლი, რომელიც განთავსებულ იქნა სამსახურის სოციალურ ქსელებსა (Facebook, Youtube channel) და ოფიციალურ ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge).</p>
10.3.2. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების, დაბეჭდილი და გავრცელებული ბუკლეტების რაოდენობა	https://lio.moh.gov.ge/index.php?lang=1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	<p>საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში მუდმივად ვრცელდება ინფორმაცია ბავშვთა შრომის საკითხებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, განხორციელდა 3767 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება 1636 ობიექტზე (პირველადად შემოწმებული ობიექტები); - საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა 1779 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ აღმოფხვრამდე). პირველადი

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა 1395 ობიექტი/სამუშაო ადგილი;</p> <ul style="list-style-type: none"> - „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების ფარგლებში, 233 ინსპექტირება განხორციელდა 303 ობიექტზე, მათ შორის, 292 გეგმური და 11 არაგეგმური; - ინსპექტირების შედეგად იძულებითი შრომის ნიშნები არ გამოვლენილა 302 ობიექტზე, ხოლო ერთ ობიექტზე დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის" 79-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომლის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.
<p>10.3.3. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება</p>	<p>სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი ადამიანური რესურსით;</p> <p>შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა</p>	<p>შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - https://lio.moh.gov.ge/index.php?lang=1</p>	<p>სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>2023 წლის მდგომარეობით შრომის ინსპექციის სამსახურში დაკომპლექტებულია 161 პოზიცია. სამსახური ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას ვაკანტური პოზიციების დაკომპლექტების მიმართულებით.</p> <p>შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით, ჩატარდა ტრენინგ საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგადაც გამოვლენილი ტრენინგების საკითხების დასაორგანიზებლად დაიგზავნა მოთხოვნა დონორ ორგანიზაციებთან, პროექტებთან. საანგარიშო პერიოდში თანამშრომლების პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით ჯამში 15 ტრენინგი განხორციელდა.</p> <p>შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით დასაქმებულ პირთათვის, მათ შორის, შრომის ინსპექტორთა უნარების გაძლიერების მიზნით, ევროპის საბჭოს პროექტის "სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება" მხარდაჭერით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: ბავშვთა შრომა ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტების ფარგლებში, რომელსაც 23 პირი დაესწრო. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში სამსახურის 13 ახალმა და მოქმედმა თანამშრომელმა წარმატებით დაასრულა ევროპის საბჭოს იურიდიული სფეროს წარმომადგენელთა ადამიანის უფლებათა სფეროში სწავლების (HELP) პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ 3</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>თვიან სასწავლო კურსი. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბავშვთა შრომა ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტების ფარგლებში; - შრომის ინსპექტირების პროცესში დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირება და რეაგირების სათანადო მექანიზმები; - შრომის ინსპექტირების პროცესში არასრულწლოვნებთან და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის პრაქტიკული უნარების განვითარება და მონაცემთა შეგროვების პროცესში ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გაზიარება; - ტრენინგი შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტების შუქზე; - ასევე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით სამსახურის თანამშრომლები გადამზადდნენ თემაზე „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმები“. <p>საჯარო მმართველობის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების თემაზე; - სტრესის მართვის მიმართულებით; - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიმართულებით; <p>მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> - შრომითი მიგრაციის კანონში შესული ცვლილებების თაობაზე; - დასაქმების რეგულაციების მონიტორინგისა და აღსრულების მიმართულებით; <p>გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (German International Cooperation Society-GIZ) პროექტის “გლობალური პროგრამა-განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის ჩამოყალიბება” (GIZ_MEG) მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი შემდეგი მიმართულებით: ტრენერთა ტრენინგი და რბილი უნარების ტრენინგი.</p>

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>10.3.4. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირება კანონმდებლობით განსაზღვრული, გაფართოებული მანდატის შესაბამისად</p>	<p>წლის განმავლობაში შემოწმებული ობიექტების, განხორციელებული ინსპექტირებებისა და გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა;</p> <p>შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა/მაჩვენებელი</p>	<p>შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - https://lio.moh.gov.ge/index.php?lang=1</p>	<p>სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (EUTO) პროექტის ფარგლებში საქართველოს შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ადამიანით ვაჭრობის თემაზე სიმულაციური ტრენინგის I და II საფეხური.</p> <p>საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ "შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შრომით ნორმებზე ზედამხედველობისას:</p> <ul style="list-style-type: none"> - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელდა 3767 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება 1636 ობიექტზე; (პირველადად შემოწმებული ობიექტები); განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად სამსახურის მიერ ყველა ობიექტზე გაცემულ იქნა 14 178 მითითება. აღსანიშნავია, რომ გაცემული მითითებები სრულად გაითვალისწინა 829-მა. განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 96 290 დასაქმებულ პირს. - საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-სა და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდა 1779 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ აღმოფხვრამდე) განხორციელდა. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა 1395 ობიექტი/სამუშაო ადგილი; განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად სამსახურის მიერ ყველა ობიექტზე გაცემულ იქნა 2620 მითითება. განხორციელებული რეინსპექტირებების შედეგად, თავდაპირველი და შემდგომ გაცემული მითითებები საანგარიშო პერიოდში სრულად აღმოფხვრილ იქნა 397 ორგანიზაციის მიერ. განხორციელებული ინსპექტირებები კი შეეხო 72000-მდე დასაქმებულ პირს. - „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების ფარგლებში 233 ინსპექტირება

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					განხორციელდა 303 ობიექტზე. მათ შორის, 292 გეგმური და 11 არაგეგმური. ინსპექტირების შედეგად იძულებითი შრომის ნიშნები არ გამოვლენილა. ინსპექტირების შედეგად იძულებითი შრომის ნიშნები არ გამოვლენილა 302 ობიექტზე, ხოლო ერთ ობიექტზე დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის" 79-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომლის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.
10.3.5. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა	სამმხრივი კომისიის და კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ოქმები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი უწყებები/ორგანიზაციები	<p>2023 წლის აპრილში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამუშაო შეხვედრა, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.</p> <p>საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ერთი სხდომა. სხდომაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2024-2028 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები, ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უსაფრთხოების კოდექსის სამთავრობო კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ევროპის სოციალური ქარტიის არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების მიერთებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს რეკომენდაციები, ევროკომისიის „ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის“ 2023 წლის ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციები.</p> <p>ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 1 შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს "შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საშუალო კომპანიების სერტიფიცირების პროცედურები.</p>
მიზანი 11.	DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა				
ამოცანა 11.1.	DCFTA-ის სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება				
11.1.1. DCFTA-ს შესახებ ვებ-ვერდის	ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა;	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი		2023 წლის მონაცემებით dcfta.gov.ge ვებგვერდს ეწვია 8900 ახალი ვიზიტორი.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ეფექტიანი ფუნქციონირება	გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტების რაოდენობა		განვითარების სამინისტრო		საქართველოს გარდა, ვებგვერდს სტუმრობენ აშშ-დან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, და სხვ. უცხო ქვეყნებიდან ვიზიტორთა ჯამური წილი 20% შეადგენს. საიტზე კომენტარებისთვის განთავსდა საკანონმდებლო დაახლოების პროცესში სანიტარიულ, ფიტოსანიტარიულ და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროებში შემუშავებული კანონპროექტები.
11.1.2. DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 1 შეხვედრა წელიწადში	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებული პროცედურების მიმდინარეობის გამო, 2023 წელს შეხვედრა არ ჩატარებულა.
11.1.3 DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან თემატური შეხვედრები წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, საჯარო შესყიდვების, საბაჟო, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და სხვა სფეროებში მიმდინარე DCFTA-დან გამომდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია შესაბამისი აქტივობების შესრულების ანგარიშად.

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების
2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 11.2.	საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის				
11.2.1. DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 1 შეხვედრა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		26 - 27 დეკემბერს ქ. გორში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის მეორე ფაზის (AA Facility) დახმარებით გაიმართა DCFTA-ის განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრა რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2024-2026 წლების) და 2024 წლის სამოქმედო გეგმების პროექტები.
11.2.2. DCFTA-ის განხორციელების 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გეგმის შემუშავება	მიღებულია DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი გეგმა	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2024-2026 წლების) სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავებული და მისი დამტკიცება იგეგმება 2024 წლის პირველ კვარტალში.
11.2.3 DCFTA-ს განხორციელების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება	მომზადებული DCFTA-ს განხორციელების ანგარიშები	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		DCFTA-ის 2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში და 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების 9 თვის ანგარიში შემუშავდა და გამოქვეყნდა dcfta.gov.ge ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე.